ანოტაცია

ნაშრომში წარმოჩენილია ალექსანდრეჯავახიშვილის 1931-1932 წლების „საქართველოს საზოგადო რუკის“ გეოგრაფიულ-კარტომეტრიული ანალიზი.კვლევის შედეგად დადგინდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ცვლილებები, გაანალიზდა 1930-იანი წლების რიგი დემოგრაფიული და რუკაზე ასახული ობიექტების ტერიტორიული განაწილების თავისებურებანი. ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრები, რომლებიც შედარებულია თანამედროვე საზღვრებთან.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ 1930-იანი წლების შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებებია მომხდარი ქვეყნის ადმინისტრაციულ მოწყობაში, რაც გამოიხატა, ერთი მხრივ, ადმინისტრაციული ერთეულების რაოდენობის, მათი ფართობისა და საზღვრების ცვლილებებში. ასევე, დადგინდა ზოგიერთი ადმინისტრაციული ერთეულის ცვლილება ტოპონიმიკური თვალსაზრისით.

მიღებული შედეგები ნაშრომში წარმოდგენილია თემატური რუკებისა და დიაგრამების სახით.